

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე „ქონების ლეგალიზების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით აღიარებული კერძო საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველყოფა.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია შექმნას დამატებითი გარანტიები საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით აღიარებული კერძო საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად, შექმნას დამატებითი გარანტიები იმ ქონების დაცვის ნაწილში, რომელზეც საკუთრების შექმნა განხორციელდა ან საკუთრების შექმნის საფუძველი წარმოიშვა გარიგებით ან სამართლებრივი აქტებით, განახორციელოს აღნიშნული ქონების ლეგალიზაციის წესის სამართლებრივი რეგლამენტაცია.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

საკუთრების უფლების ხელშეუხებლობისა და დაცულობის მიზნით წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს 2007 წლის 1 აპრილამდე სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის მიერ საკუთრებაში გადაცემული ქონების ლეგალიზებულად გამოცხადებას. განსაზღვრულია ის ქონება, რომელზედაც არ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება. სახელმწიფო ორგანოსა და თანამდებობის პირებს ეკრძალებათ ქონებაზე საკუთრების შექმნის ან მისი საფუძვლის მართლზომიერების დასადგენად გამოძიების წარმოება ან სხვა ფორმით კონტროლი, შესწავლა და შემოწმება, გარდა კანონით აკრძალული ქონების პრივატიზების შემთხვევებისა.

კანონპროექტი შედგება 7 მუხლისაგან.

კანონპროექტის პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანს, რომლის თანახმად, კანონის მიზანს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით, ასევე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული კერძო საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად დამატებითი გარანტიების დადგენა.

კანონპროექტის მე-3 მუხლი ითვალისწინებს რიგ ტერმინთა განმარტებას მოცემული კანონის მიზნებისათვის. მათ შორის, „ქონებად“ განისაზღვრება ნივთი, ფასიანი ქაღალდი ან/და მოთხოვნის უფლება, რომელიც პირს პირად საკუთრებაში გადაეცა სახელმწიფოსაგან ან თვითმმართველობის ორგანოსაგან პირდაპირ ან წარმოებულის სახით, ხოლო „ქონების ლეგალიზება“ განმარტებულია როგორც ამ კანონით გათვალისწინებული ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურება, რაც შეიძლება შეიზღუდოს ან ჩამორთმეულ იქნეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

კანონპროექტის მე-4 მუხლის თანახმად, აღნიშნული კანონის მოქმედება გავრცელდება სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ნებისმიერ ქონებაზე, რომელზეც საკუთრების შექმნა განხორციელდა ან საკუთრების შექმნის საფუძველი წარმოიშვა გარიგებით ან სამართლებრივი აქტით 2007 წლის 1 აპრილამდე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს იმ ქონების ჩამონათვალს,

რომელზეც არ გავრცელდება ამ კანონის მოქმედება. ესენია: ქონება, რომლის პრივატიზება აკრძალულია; ქონება, რომელზეც საკუთრების უფლების ან საკუთრების შეძენის საფუძვლის გაუქმების შესახებ ამ კანონის ამოქმედების მომენტიდან მიმდინარეობს სასამართლო დავა ან ადმინისტრაციული წარმოება ან მიმდინარეობს გამოძიება საკუთრების განკარგვის მართლზომიერების დასადგენად; ქონებაზე, რომელიც გათვალისწინებულია „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ XLIV¹ თავით გათვალისწინებულ ქონებაზე (ასეთებია: რეკეტილი ქონება - რეკეტის შედეგად მიღებული ქონება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რეკეტიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება, აგრეთვე რეკეტილი დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან რეკეტირთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს; ქურდული სამყაროს წევრის ქონება - ქურდული სამყაროს წევრის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან რეკეტირთან ან ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს, ასევე ადამიანით მოვაჭრის ქონება - ადამიანით მოვაჭრის მიერ ადამიანით ვაჭრობიდან მიღებული ქონება, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან ადამიანით მოვაჭრესთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს), "ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის" VII² თავით გათვალისწინებულ ქონებაზე, ასევე ყალბი დოკუმენტის წარდგენის გზით მოპოვებულ ქონებაზე.

კანონპროექტის მე-5 მუხლი ადგენს ქონების ლეგალიზაციის კონკრეტულ წესს.

კანონპროექტის მე-6 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ორგანოს და თანამდებობის პირს ეკრძალება ამ კანონით განსაზღვრულ ქონებაზე საკუთრების შეძენის ან/და საკუთრების შეძენის საფუძვლის მართლზომიერების დასადგენად გამოძიების წარმოება, ან ნებისმიერი სხვა ფორმით კონტროლი, შესწავლა და შემოწმება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს ბიუჯეტიდან ასიგნებების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღებით სახელმწიფო არ კისრულობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ ზეგავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ამასთან, კანონპროექტით ხდება იმ ქონების ლეგალიზება, რომელზეც საკუთრების შექმნა განხორციელდა ან საკუთრების შექმნის საფუძველი წარმოიშვა გარიგებით ან სამართლებრივი აქტით 2007 წლის 1 აპრილამდე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში

საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ

ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო

ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს

კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის

(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის

არსებობის შემთხვევაში

აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით ექსპერტთა შეფასებები არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახური.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პრეზიდენტი.